ზაზა ფირალიშვილი

უპრეცედენტო მიმოწერის გამო

2014 წელს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა გამოსცა ბატონების ზურაბ კიკნაძისა და მერაბ ღაღანიძის წიგნი „განსაკუთრებული საყოველთაოში". წიგნში თავმოყრილია ავტორების მიმოწერა, რომელიც 2003-2013 წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

უხერხული იქნებოდა, წიგნის თეოლოგიური შინაარსი განმეხილა. ამ სფეროში ავტორები აღიარებულ ავტორიტეტებს წარმოადგენენ და ყოველმა მკითხველმა, ალბათ, თავად უნდა გადაწყვიტოს მათ მიერ გამოთქმული ამა თუ იმ არგუმენტის დამაჯერებლობა. შევეცდები, შევეხო იმ რამდენიმე მომენტს, რომელთა გამოც წიგნი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის.

პირველ რიგში, ალბათ, ის უნდა ითქვას, რომ ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორიაში არ მახსენდება სხვა შემთხვევა, როდესაც განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენელები ასეთი კეთილგანწყობითა და ურთიერთპატივისცემით წლების განმავლობაში ცდილობენ საკუთარი თეოლოგიური მრწამსის გადმოცემას და შეხების წერტილების მოძიებას. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, მშვიდად მიუყვებიან გზადაგზა წამოჭრილ კითხვათა რიგს და ახერხებენ, მკაცრად შეინარჩუნონ თეოლოგიური დისკურსის ერთგულება. მიმოწერა წარმოადგენს დიალოგს ამ სიტყვის ყველაზე კარგი მნიშვნელობით. გავიხსენოთ, რომ ბერძნები მხოლოდ თავისუფალ ადამიანს მიაწერდნენ დიალოგის უნარს. ადამიანი, რომელიც თავისუფალი არ არის, ჭეშმარიტების მონოპოლური ფლობის ილუზიაშია, ან ვინმე სხვას გადასცემს ამგვარი მონოპოლური ფლობის კომპეტენციას. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია გაიაზროს ცხოვრება, როგორც სხვა მასავით თავისუფალ არსებასთან მუდმივი ინტერაქცია და დიალოგი. ქრისტიანობის წიაღში ამას ემატება კიდევ ერთი, ქრისტიანად ყოფნის ჰორიზონტის დამდგენი რამ: „ ... სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა" (მათე, 18.20).

სხვა არაფერი რომ არ ყოფილიყო, თუნდაც მხოლოდ ამით არის ეს წიგნი ძალზე მნიშვნელოვანი პრეცენდენტი ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის. ჩვენთან ხომ საზრისის მონოპოლური ფლობა და დიალოგის უნარის დეფიციტი ლამის თანაცხოვრების მთავარ ნიშნად იქცა. უფრო მეტიც, სტალინისტური პირველნიმუშებით დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით თითქოს თავად დიალოგის გამორიცხვაა ის, რამაც ჭეშმარიტებასთან უნდა მიგვიყვანოს. ბერძნები ამგვარ მდგომარეობას ბარბაროსებს მიაწერდნენ და მით უფრო ცხადი ხდება, თუ ისტორიული თვალსაზრისით როგორი უკანდახევა აღმოჩნდა ჩვენთვის საბჭოთა სოციალ-ფსიქოლოგიური ინჟინერია.

ამით მიმოწერა ზედმიწევნით ქრისტიანული ფენომენის ხორცშესხმის მცდელობას წარმოადგენს. მასში ჩართული პირები ცდილობენ ერთობლივი ძალისხმევა გაიღონ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ბილიკების მოსაძიებლად. იქ, სადაც საზრისს ერთპიროვნულად ფლობენ, ჭეშმარიტების ძიება სივრცეს ვერ მოიპოვებს. სადაც დიალოგისათვის აუცილებელი „გონების კუნთები“ სუსტია ან ატროფირებული, სადაც დიალოგისათვის აუცილებელი სიმამაცე არ მოიძევება, შეუძლებელია უფლის თანაყოფნის ჰორიზონტი იქნას მონიშნული.

ამიტომაც თავიდანვე ვიტყოდი, რომ მნიშვნელობა არა აქვს, დიალოგის რომელ მონაწილეს ვეთანხმებით, ან სულაც ვფიქრობთ, რომ ამ დიალოგში რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი არ გამჟღავნებულა. მთავარი თავად დიალოგია, როგორც ფაქტი, როგორც ჩვენი თანამედროვე ყოფისათვის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმის დამდგენი პრეცენდენტი. მაცხოვარიც ხომ სწორედ იქაა, სადაც ერთმანეთს აქამდე თითქოს უიმედოდ დაშორებულნი და გაუცხოვებულნი ხვდებიან. ვფიქრობ, ასეთი პრეცენდენტის წინაშე უკან უნდა დაიხიოს ყოველგვარმა კორპორატიულმა ეგოიზმმა თუ ინსტიტუციურმა ინტერესებმა, რადგან ჩვენ წინაშე თამაშდება ის, რაც მაცხოვარმა ყოველგვარი ღვთისმსახურების, უფალთან თანაყოფნის ჰორიზონტად დასახა: შეხვედრა ამ სიტყვის ყველაზე არსებითი მნიშვნელობით.

ერთი შეხედვით, პრაქტიკული საზრისი არა აქვს იმის წარმოდგენას, თუ რა მოხდებოდა, ჩვენი ისტორია სხვაგვარად რომ წარმართულიყო. ცხადია, ეს კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას შორის არჩევანსაც შეეხება. მიუხედავად ამისა, მაინც ვუბრუნდებით ამგვარ ინტელექტუალურ „თამაშებს.“ საქმე ისაა, რომ მომავლის პროექტირება ხომ მხოლოდ იმის მიხედვით არ ხდება, თუ რა იყო, არამედ იმითაც, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორ წარიმართებოდა ისტორია ამა თუ იმ განუხორციელებელი პროექტის წარმატების შემ-

თხვევაში. ამ აზრით, მომავალი არ არის მხოლოდ წარსულის ნაყოფი. იგი განუხორციელებელი პროექტების შედეგიცაა. ერთ-ერთი ასეთი განუხორციელებელი პროექტია სწორედ ჩვენი რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწის მცდელობა, ქართული ეკლესია კათოლიკურისთვის დაეახლოვებინათ და ასე გაერღვიათ ის გეოპოლიტიკური ჩიხი, რომელშიც ქვეყანა იყო მოქცეული.

არსებობს არაერთი ისტორიული მოწმობა იმისა, რომ კათოლიკური პროექტის მარცხი არ იყო მხოლოდ ისტორიულ ტრადიციასთან დაპირისპირების შედეგი. ისტორიულ მეცნიერებას დღემდე ნაკლებად აქვს შესწავლილი ის, თუ რა როლი ითამაშა ჩვენს არჩევანში, გარდა თეოლოგიური არგუმენტებისა, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ. ორივე იმპერია სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, რომ ჩვენ, გეოპოლიტიკურ იზოლაციასთან ერთად, რელიგიური თვალსაზრისითაც იზოლირებულები ვყოფილიყავით. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ის ბედი, რომელიც ერეკლეს მიერ ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ სამ კაპუცინელ ბერს ეწიათ. ცნობილია, რომ სამივენი გზაში მოკლეს. ამის მაგალითია ის ტერორიც, რომელიც რუსულმა იმპერიამ გააჩაღა საქართველოში მოღვაწე კაპუცინელი ბერების წინააღმდეგ. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდებოდა ჩვენი ისტორია კათოლიკური პროექტის წარმატების შემთხვევაში, დღესაც ხშირად ისმის და ფარულად თუ აშკარად ზემოქმედებს ჩვენს მიერ ისტორიული პროცესების გაგებაზე.

საქმე მხოლოდ ამ ფაქტებით არ ამოწურულა. ნებისმიერი საზოგადოებრივი გარემო საკუთარი აწმყოს და მომავლის პროექტირებას ახდენს იმ იდეოლოგიის მიხედვით, რომელსაც წარსული კარნახობს. ეს უკანასკნელი რაღაცას გვავალდებულებს და რაღაცას – არა. ამიტომაც ცდილობს ნებისმიერი დამპყრობელი დაპყრობილის წარსული თავისთვის სასარგებლო იდეოლოგიით გააჯეროს. გავიხსენოთ, თუ რა შრომას დებდნენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები საიმისოდ, რომ ჩვენი წარსულის მოდელირება საკუთარი იმპერიული ინტერესების მიხედვით მოეხდინათ. თუკი რაიმე უშლიდა ხელს რუსულ იმპერიალიზმს ჩვენთან ურთიერთობაში, პირველ რიგში, ჩვენი წარსული იყო. ამიტომაც, ეს უკანასკნელი ან სრულიად უნდა ყოფილიყო უგულებელყოფილი, ან კიდევ იგი იმგვარ იდეოლოგიურ პარადიგმებს უნდა დაქვემდებარებოდა, რუსულ იმპერიულ პროექტს რომ შეესაბამებოდა. გარკვეულწილად, მათ მიაღწიეს თავის მიზანს და შეძლეს ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში შეეტანათ იდეოლოგია, რომელსაც, როგორც უკურეაქცია, მოჰყვა მეოცე საუკუნის განმავლობაში რამ-

დენჯერმე გახმიანებული კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მართლზომიერი იყო ჩვენი მართლმადიდებელი არჩევანი. ჩვენი ისტორიის ამგვარი იდეოლოგიზების გარეშე ეს კითხვა არასოდეს გაჩნდებოდა. თავად ფაქტი, თუ როგორ ებრძოდა რუსული ხელისუფლება ქართულ ეკლესიას, მეტყველებს არა მხოლოდ იმპერიულ სიტლანქეზე, არამედ იმაზეც, რომ მათი წარმოდგენით, ჩვენ „არასაკმარისად მართლმადიდებლები“ ვიყავით და საჭირო იყო იმ კორექტივების შეტანა, რომელთა წყალობითაც ჩვენს ქართულ-ბიზანტიურ რელიგიურობას და დაუფარავ სიმპატიებს რომის ეკლესიის მიმართ ქართულ-რუსული რელიგიურობა ჩაანაცვლებდა ეროვნული ისტორიის შესაბამისი ესქატოლოგიური ხატებით. ჩვენ რუსული ისტორიის ნაწილად უნდა ვქცეულიყავით. სიტყვამ მოიტანა და ის სიჯიუტე, რომლითაც დღეს რუსული ეკლესია და ქართული ეკლესია რჩებიან ძველ კალენდარულ სტილზე, ყოველგვარი განსაკუთრებული ფსიქოანალიზის გარეშე მიუთითებს ალტერნატიულ ისტორიაში თუ ალტერნატიული ისტორიით ცხოვრების სურვილზე, იმ ისტორიით, რომელშიც, სხვა ყველაფერთან ერთად, აღარ იარსებებს ჩვენი სულიერი კავშირები ევროპის ქრისტიანულ სამყაროსთან. მართლმადიდებლობის ამგვარი გეოპოლიტიკური იდეოლოგიზება არის ის, რაც ჩვენში ჩვენს დღეებში კვლავ აღძრავს კითხვას რელიგიური არჩევანის მართლზომიერების შესახებ და ამ კითხვისაგან თავის დაღწევა და არა მხოლოდ მართლმადიდებლობის, არამედ ზოგადად ქრისტიანობის გადარჩენა მხოლოდ ამგვარი იმპერიული იდეოლოგიური დისკურსისაგან გათავისუფლებით თუ იქნება შესაძლებელი.

ცხადია, ახლა ძნელია იმის განსაზღვრა, ჩვენს ისტორიაში რა იყო პროვიდენციალური და რა განისაზღვრა ჩვენი ნებით. მაგრამ კითხვა არჩევანის შესახებ ის კონტექსტია, რომელსაც ყოველთვის შეეხება დიალოგი ქართველ მართლმადიდებელსა და ქართველ კათოლიკეს შორის. როგორც ვთქვით, საქმე ხომ ჩვენი სულიერების ისტორიულ ბედს შეეხება.

კიდევ ბევრი, ჩვენი არსებობისათვის მნიშვნელოვანი კითხვა შეიძლება გაგვიჩნდეს ამ წიგნის გაცნობის შედეგად. ეს კი, ალბათ, ნიშნავს, რომ მისმა ავტორებმა შეძლეს და ჩვენი ისტორიისა და სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თავწყაროებს შეეხენ. ეს კი, ვფიქრობ, სრულიად აუცილებელია საიმისოდ, რომ ჩვენი მომავლის პროექტები მყარ საყრდენებზე იქნას დაფუძნებული. მე კი კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ წიგნი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს და იგი ჩვენს წინაშე ფიქრისა და განსჯის ახალ და მნიშვნელოვან ჰორიზონტებს ხსნის.